- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ჰმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვედნილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერს

ბათუმი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „გზა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „გზა“-ს კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „გზა“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი გააგრძელებს ოპერირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში არის აღნიშნული, ჯგუფს აქვს უარყოფითი წლის სრული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წელს. ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

ეს მოვლენები და გარემოებები, აგრეთვე, შენიშვნა #2-ში აღწერილი სხვა ფაქტორები, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ექვექცეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. მენეჯმენტის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში.

ჩვენი მოსაზრება ამ მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შესაბამემა თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „გზა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასეების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიყენებულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების

გამოთქმისთვის აუდიტორული საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახვლად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. SARAS-A-730184)

29 სექტემბერი 2025 წელი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
კონსოლიდირებული მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ამონაგები	6	96,388,539	31,557,930
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(85,370,089)	(29,992,307)
საერთო მოგება		11,018,450	1,565,623
საიჯარო შემოსავლები	6	-	660,140
ქონების ექსპლუატაციის ხარჯები	7	(361,287)	(209,130)
წმინდა საიჯარო შემოსავალი		10,657,163	451,010
სხვა შემოსავალი	6	698,930	1,722,624
სხვა ხარჯები	10	(4,045,880)	(679,894)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	9	(4,000,029)	(2,150,417)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,523,533)	(4,497,953)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(2,213,349)	(3,589,007)
ფინანსური შემოსავალი	17	1,915,560	6,273
ფინანსური ხარჯი	18	(806,268)	(2,123,134)
მოგება ზარალი მირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(49,428)	6,333
ფინანსური აქტივების გაუფასურება	15	(234,553)	(747,509)
სამართლიანი ღირებულების ეფექტი	12	772,888	312,499
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		340,365	47,288
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(274,786)	(6,087,257)
მოგების გადასახადი.		(83,797)	-
მოგების გადასახადი		(701,110)	(136,108)
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		(1,059,693)	(6,223,365)
სულ სხვა სრული შემოსავალი		(1,059,693)	(6,223,365)
სათაო საწარმოს წილი		(1,180,415)	(4,458,358)
არამაკონტროლებელი წილი		120,722	(1,765,007)

ხელმძღვანელობის სახელით:
მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	31,427,631	15,770,490
არამატერიალური აქტივი	11	15,316	30,453
საინვესტიციო ქონება	12	16,129,000	17,575,000
მოთხოვნები სადეპოზიტო ანგარიშებიდან	13	17,601,938	29,523,506
გუდვილი	23	271,034	271,034
გაცემული გრძელვადიანი სესხები	18	12,745,566	13,239,871
სულ გრძელვადიანი აქტივები		78,190,485	76,410,354
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	51,019,465	29,070,780
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	40,345,909	9,615,797
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	16	4,613,334	9,769,035
გაცემული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი	18	5,517,538	1,456,103
სულ მიმდინარე აქტივები		101,496,246	49,911,715
სულ აქტივები:		179,686,731	126,322,069
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		24,302	117,867
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		2,240,720	7,389,574
მთლიანი კაპიტალი		2,265,022	7,507,441
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		2,664,373	2,543,651
სულ საკუთარი კაპიტალი		4,929,395	10,051,092
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	17	6,613,136	17,030,371
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,613,136	17,030,371
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	162,602,803	91,345,398
მიღებული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი	17	3,293,997	7,519,217
თანამშრომელთა ვალდებულებები	18	513,500	368,321
საგადასახადო ვალდებულებები		1,733,900	7,670
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		168,144,200	99,240,606
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		179,686,731	126,322,069

ხელმძღვანელობის სახელით:
მაღალხ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
მ.ტ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
01.01.2023 წაშთი	3,612,521	12,088,947	4,308,658	20,010,126
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(3,494,654)	-	-	(3,494,654)
გაუნაწილებელი მოგება	-	(4,467,793)	(1,765,007)	(6,232,800)
დივიდენდის განაწილება	-	(231,580)	-	(231,580)
31.12.2023 წაშთი	117,867	7,389,574	2,543,651	10,051,092
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(93,565)	-	-	(93,565)
გაუნაწილებელი მოგება	-	(1,180,415)	120,722	(1,059,693)
დივიდენდის განაწილება	-	(3,968,439)	-	(3,968,439)
31.12.2024 წაშთი	24,302	2,240,720	2,664,373	4,929,395

ზელმძღვანელობის სახელით:

მაღლაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მესიკ დავითაძე
მ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	187,990,985	99,951,915
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(149,892,342)	(85,583,466)
საბანკო დეპოზიტები	11,921,568	29,523,506
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(14,528,933)	(9,179,705)
გადახდილი გადასახადები	(11,125,084)	(10,036,169)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	24,366,194	24,676,081
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(6,884,596)	(5,681,941)
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	38,258
ცვლილება გაცემულ სესხებში	(2,719,931)	(1,121,037)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(9,604,527)	(6,764,720)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	8,344,984	15,606,798
გადახდილი სესხები	(24,508,302)	(20,280,362)
დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ზრდა/შემცირება	(93,565)	(3,494,654)
დივიდენდის განაწილება	(3,775,384)	(220,000)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	114,899	(100,674)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(19,917,368)	(8,488,892)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(5,155,701)	9,422,469
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	9,769,035	346,566
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	4,613,334	9,769,035

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გზა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია ბათუმის რ-ნის სასამართლოს მიერ 03.02.2005 წ. მისამართი ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 245525132.

შპს „გზა“-ს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

შპს „გზა“-ს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) (100%). საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს ბათუმი ცენტრალი (ს/ნ 445386172), რომელშიც მაკონტროლებელი წილი 55% შეიძინა 2019 წლის 6 მაისს.

2020 წლის 08 ივნისს შპს „ბათუმი ცენტრალმა“ დააფუძნა შპს „თაურ ჯგუფი“ (ს/ნ 445580666) 100%-იანი წილის მფლობელობით.

შპს „თაურ ჯგუფმა“ უნდა განახორციელოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების მშენებლობა, შპს ბათუმი ცენტრალიდან საწესდებო კაპიტალში შეტანილ მიწის ნაკვეთზე, მისამათი საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3-ში.

შპს ბათუმი ცენტრალის ძირითადი საქმიანობაა: არასაცხოვრებელი (კომერციული) ფართების გაქირავება (საიჯარო მომსახურების გაწევა), იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 445386172.

ჯგუფი ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, ჯგუფის სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შპს „გზა“ ფლობს შპს „ჯივი ჰვაიფერ-გზა“-ს 33%, ასევე 2020 წლის 13 ოქტომბრის განახორციელა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში და შეიძინა 34%-იანი წილი „ამხანაგობა გზა“-ში. „ამხანაგობა გზა“ საქმიანობს საქართველოში, გზების და ავტობანების მშენებლობის; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენების ბაზარზე.

მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 შეფასების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების გარდა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

2.3 საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე

დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან, მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2.4 უწყვეტობის პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჰყვრებად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

ჯგუფს საანგარიშგებო პერიოდში აქვს ზარალი 1,059,693 ლარი (2023 - ზარალი 6,223,365 ლარი) ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

შპს „გზა“-ს გაფორმებული აქვს მსხვილი გრძელვადიანი კონტრაქტები სს „აჭარის წყლის ალიანსთან“, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-თან, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 100 მილიონ ლარზე მეტს. ამასთან კომპანიის საერთო მოგების მარჯა დადებითი და მზარდია ბოლო ორი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და 2025 წლის განმავლობაში (ანგარიშგების გამოცემაზე) 80 მილიონი ლარის სახელშეკრულებზე ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს კომპანიას მყიდველების წინაშე.

შპს თაუერ ჯგუფი, რომლის ძირითადი საქმიანობაც საცხოვრებელი და კომერციული ფართის მშენებლობა და რეალიზაციაა, 2024 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული აქვს 76.6 მლნ ლარის წინასწარი გაყიდვის ხელშეკრულებები (საიდანაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული თანხა შეადგენს 35.8 მლნ ლარს), რომელიც შეიცავს ბინების გასაყიდი ფასის გრაფიკის მიხედვით ანაზღაურებას. რეალიზებული ფართი შეადგენს დაგეგმილი მშენებლობის სრული ფართის 67%-ს.

ასევე, ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გამოხატავს მზაობას საჭიროების შემთხვევაში დააფინანსოს კომპანიის საოპერაციო ხარჯები კაპიტალში შენატანების საშუალებით.

2.5 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის შემდეგს:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან საკონტრაქტო გარიგებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბესიკ დავითაძე
მ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკუროს სხვაობებს; • აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას მოგებაში ან ზარალში;
- მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე, საჭიროებისამებრ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს გზისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს ბათუმი ცენტრალის და შპს „თაუერ ჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს ბათუმი ცენტრალი საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქ. #3-ში.

სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)		
			31/12/2022	31/12/2021	1/1/2021
1 შპს ბათუმი ცენტრალი	საიჯარო მომსახურება	საქართველო	55%	55%	55%
2 შპს „თაუერ ჯგუფი“	მშენებლობა	საქართველო	100%	100%	100%

2.6 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია შპს „გზი“-სა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) გამოირიცხულია შვილობილ საწარმოში შპს „გზა“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შვილობილ საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, შპს „გზი“-ს წილისგან განცალკევებით;

დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილ საწარმოების წმინდა აქტივებში, შპს „გზი“-ს წილისაგან განცალკევებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. კომპანია აღიარებს შემოსავალს შესრულებული სახელშეკრულებით ვალდებულებების პროპორციულად. კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს აღიარებს ფასს-15-ის მიხედვით, თუ აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ▶ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების ვალდებულება აიღეს;
- ▶ კომპანიას შეუძლია გადასცეს საქონელი და/ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ▶ კომპანიას შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ▶ ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება კომპანიის სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები) და ;
- ▶ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი აღიარდება როდესაც ან როგორც კი შესრულდება კონტრაქტით განპირობებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლის კონტროლის ქვეშ გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

კომპანია ეტაპობრივად ასრულებს სამუშაოებს და დაახლოებით თვეში ერთხელ დამკვეთთან ფორმდება აქტი შესრულებულ სამუშაოებზე, სადაც საიმედოდ შეფასებული შედეგებია მოცემული.

დანახარჯებს დამატებული ანაზღაურების ტიპის კონტრაქტებისათვის ამონაგები აღიარდება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ასანაზღაურებელი დანახარჯებისა და სამშენებლო ხელშეკრულებაში მოცემული საერთო მარჟის მიხედვით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება, კომპანია აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა.

საკონტრაქტო დანახარჯები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გაწევა. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა მოელოდა, რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს. ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტებთან; ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისათვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე; და გ) ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთის ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შესაძლოა შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. კომპანია სამშენებლო ზედნაღებში დანახარჯების განაწილებას ახორციელებს სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა ანალოგიური ტიპის დანახარჯისათვის. დანახარჯების განაწილება ხორციელდება სამშენებლო საქმიანობის საშუალო დონის მიხედვით.

ყველა იმ დაუშვებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხების ჯამს, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთისაგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხები აღემატება გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

თანხები, რომელიც დარიცხულია შესრულებული სამუშაოების მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული

ხელმძღვანელობის სახელით:
მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო
11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბესიკ დავითაძე
მ.თ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში „სავაჭრო და სხვა მოთხოვნები“.

შემოსავალი სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული ხელშეკრულებიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ავანსები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებების მიხედვით ავანსები იქვეთება დასრულების სტადიის დროს, რომელიც ერთ წელზე ნაკლებია.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საგარანტიო თანხები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რადგან ფასს 15-ის 62 (გ) პუნქტის კრიტერიუმში კმაყოფილდება.

დაპირებულ ანაზღაურებასა და საქონლის ან მომსახურების მიმდინარე გასაყიდ ფასს შორის სხვაობა წარმოიქმნება მომხმარებლის ან საწარმოს დაფინანსების გარდა სხვა მიზეზების გამო და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებასთან განსხვავების მიზეზთან. მაგალითად, გადახდის პირობები შეიძლება კომპანიას ან მომხმარებელს იცავდეს მეორე მხარის უუნარობისგან, სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ან ყველა ვალდებულება.

კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

საიჯარო შემოსავალი

ჯგუფი შემოსავალს იღებს საოპერაციო იჯარაში მეიჯარედ მონაწილეობიდან. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და მოიჯარეებისგან ამოღებადი ხარჯები

საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რომლის ფლობის მიზანიც იჯარიდან შემოსავლის მიღებაა, ჯგუფი საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებს, როგორც მეიჯარე, რომელიც წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ეს ხელშეკრულებები შეიცავს მოიჯარეებისთვის (ანუ, კლიენტებისთვის) გარკვეული მომსახურებების გაწევას, მათ შორის ადმინისტრაციული მომსახურებისა, როგორიცაა დასუფთავება, დაცვა-უსაფრთხოება და სხვა. ჯგუფი გაწეული მომსახურებისთვის კლიენტებს ფიქსირებულ გადასახადს უწესებს. ამგვარი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე. შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და სხვა მსგავსი შემოსულობა აისახება შესაბამისი თვითღირებულებების მთლიან ოდენობაში შემოსავლის ნაწილში იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც პრინციპალი.

შემოსავალი მარაგებად კლასიფიცირებული ფართის რეალიზაციიდან

ჯგუფი აშენებს და ყიდის საცხოვრებელ/კომერციულ ფართებს. შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ქონებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს. უძრავი ქონების წინაშე შესყიდვის შეთანხმების სტატუსის ქვეშ, ზოგადად, კომპანიას არ აქვს ალტერნატიული გამოყენება სახელშეკრულებო შეზღუდვების გამო. თუმცა, გადახდის უფლება არ წარმოიშობა მანამ, სანამ არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა და შემდგომ კანონიერი უფლება გადაეცემა მომხმარებლის აქტივად გამომდინარე, შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კონტროლი

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2.



ზესიკ დავითაძე
მ.თ. ზულალტერი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გადადის მომხმარებელზე. შემოსავალი იზომება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასად. გათვალისწინება ხდება მანამ, სანამ კონტროლი არ გადავა.

დაფინანსების კომპონენტები

ხელშეკრულება შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს, როდესაც დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება.

3.2 ინვესტიციები

შვილობილი საწარმო არის კომპანია, რომელზეც კომპანიას აქვს კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც ინვესტორს შეუძლია, ან აქვს უფლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით.

ინვესტიციები მეგავატირე საწარმოებში

ასოცირებული საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა (პირდაპირი თუ ირიბი), მაგრამ არა - კონტროლი. ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აღიარდება ხარჯად. ასოცირებული საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები აკლდება ასოცირებულ პირში არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. სხვა შესყიდვის შემდგომი ცვლილებები ასოცირებული პირის წმინდა აქტივებში ჯგუფის კუთვნილ წილში აღირიცხება შემდეგნაირად: (1) ასოცირებული საწარმოს მოგება-ზარალში ჯგუფის წილი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ უწყისში აღირიცხება როგორც ასოცირებული საწარმოს არსებობის ფინანსური შედეგის წილი, (2) სხვა სრულ შემოსავალში ჯგუფის წილი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და წარმოდგენილი იქნება განცალკევებულად, (3) ყველა სხვა ასოცირებულ საწარმოთა წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებებში ჯგუფის კუთვნილი წილის ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში ასოცირებული პირის ფინანსური შედეგის წილად.

თუმცა, თუ ასოცირებულ საწარმოში ზარალის ჯგუფისეული წილი გაუტოლდა ან გადააჭარბა ამ საწარმოში არსებულ მის წილს, მათ შორის, რაიმე სხვა უზრუნველყოფის გარეშე არსებულ მოთხოვნებს, ჯგუფი არ აღრიცხავს დამატებით ზარალს, თუ მას რაიმე ვალდებულება არ ეკისრება ან უკვე არ მოახდინა რაიმე თანხების გადახდა ასოცირებული საწარმოს სახელით.

ჯგუფისა და მის ასოცირებულ საწარმოებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებზე არარეალიზებული მოგება იქვეთება ასოცირებულ პირებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილიდან; იგივე ხდება არარეალიზებული ზარალის შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ წარმოადგენს აქტივის გაუფასურების გადატანის მტკიცებულებას. იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება სტანდარტის ბასს 36 მოთხოვნები.

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2022
1 USD / GEL	2.6894	2.7020
1 EUR / GEL	2.9753	2.8844

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
 დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ბესიკ დავითაძე
 მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება. მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინაწლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშში მოგება ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	40-50
მანქანა-დანადგარები	10-20
საოფისე აღჭურვილობა	10-20
ავეჯი და მოწყობილობები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	10-20

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტი-ზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

გუდვილი

საწყისი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შეძენის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ერთეულებს განეკუთვნება თუ არა შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიეკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადინაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულშიშენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიეკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შეძენილი ერთეულებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

2025 წლის 29 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ზესიკ დავითაძე
მ.თ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"
ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

3.6 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წამოქმნილი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

